შპს ,, მაქსი 2022„ "Maxi 2022"LLC
თბილისი 0144,წინანდლის ქ.27/ 27Tsinandali Str. Tbilisi 0144 ს/კ406357277
ტელ./Tel.: (+995 599)63 65 78 ;

22/24

03.04.2024

მე, ანა ამურველაშვილი (პ/ნ 01008047147) როგორც შპს ,,მაქსის" (ს/კ 406357277) დირექტორი, ვაძლევ შპს „ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნულ ცენტრს" (ს/კ 206063383) თანხმობას ჩვენს თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.13.001.074) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის დაცვით ნებისმიერი სამშენებლო სამუშაოების ჩატარებაზე.

წინამდებარე თანხმობა გაცემულია განსაზღვრული ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე .

გიგზავნით ანგარიშწორებისათვის საჭირო დოკუმენტაციას

პატივისცემით

დირექტორი ა.ამურველაშვილი

საქართველო შპს მაქსი 2022 406357277 GEORGIA. MAXI 2022 LLC

შპს. ლ. მანაგაძის სახელობის
უროლოგიის
ეროვნული ცენტრი
ს/კ 206063383
თბილისი 0144, წინანდლის ქ. 27
ტელ.: 2 27 35 31 ; ფაქსი 2 77 44 95

NATIONAL
CENTER OF UROLOGY
I/C 206063383
27 Tsinandali Str. Tbilisi 0144
Tel.: (+995 32) 227 35 31; Fax: (+995 32) 277 44 95

№ 02/145 04.03. 2025

მინდობილობა

მე, გიორგი მანაგაძემ (პ/ნ 01008001437), როგორც შპს "ლ.მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის" (ს/კ 206063383) გენერალურმა დირექტორმა, შემდგომში მოხსენიებულმა როგორც "მარწმუნებელი", ამავე საზოგადოების დირექტორს სამეურნეო ტექნიკურ დარგში დავით ჩხაბერიძეს პ/ნ 60002009639, შემდგომში მოხსენიებულს როგორც "რწმუნებული", მარწმუნებლის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, წინანდლის ქუჩა #27, ს/კ 01.17.13.001.074, სამშენებლო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება: წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებასთან და სამსახურთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირთან ურთიერთობაში, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადებები და სხვა დოკუმენტები, გაეცნოს და გამოითხოვოს ინფორმაცია და დოკუმენტაცია, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რაც აუცილებელია მინდობილობით გათვალისწინებული დავალების შესასრულებლად.
წინამდებარე რწმუნებულება გაცემულია 6 თვის ვადით.

გენერალური დირექტორი: /გ.მანაგაძე/

1250/109-42
25.03.2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ სს „თიბისი ბანკი“, როგორც იპოთეკარი უძრავ ქონებაზე, მდებარე შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქუჩა წინანდალი N27, საკადასტრო კოდი: 01.17.13.001.074 (შემდგომში „იპოთეკის საგანი“), თანახმაა, რომ გაიცეს მიწის ნაკვეთზე ორსართულიანი საწყობის აშენების უფლება იმ პირობით, რომ იპოთეკის საგანზე (მათ შორის იპოთეკის საგანზე ნებართვის საფუძველზე განხორციელებულ/განსახორციელებელი ცვლილებების შედეგად წარმოშობილ/რეგისტრირებულ ურძრავ ნივთებზე) ბანკის სასარგებლოდ რეგისტრირებული ყველა/ნებისმიერი იპოთეკის უფლება შენარჩუნდება უცვლელად.

პატივისცემით,

სს „თიბისი ბანკის“ წარმომადგენელი
შოთა გავაშელი (პირადი ნომერი: 01019010234)

მარჯანიშვილის ქ #7
0102 თბილისი, საქართველო
7 Marjanishvili Str.
0102 Tbilisi, Georgia
ტ/T: +995 32 227 27 27
ფ/F: +995 32 277 27 74
www.tbcbank.ge

Firefox

http://178.249.17.200/notary/CoverPage.do?variant=2&actId=

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

31031302143623

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N231778709

რეგისტრაციის თარიღი

28.12.2023 წ

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა
მისამართი: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7,II სართული.
ტელეფონი: 593373834

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდარვა დეკემბერს მე, ნოტარიუს მედეა გვაზავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ.მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, მომმართა სს „თიბისი ბანკის" (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს „თიბისი ბანკის" შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23172178, 08/12/2023 16:17:30ს/ნ **204854595**) დირექტორმა გიორგი თხელიძემ, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად გიორგი თხელიძემ (დაბ. 26.08.1978წელს თბილისში, მცხ. თბილისი, მუხის ქ., სახლი №7, ბ/ნ №01005001579, ბარათის № 17IB40044, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 03.08.2017) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდარვა დეკემბერს სს „თიბისი ბანკის" (ს/ნ 204854595) დირექტორმა გიორგი თხელიძემ (დაბ. 26.08.1978წელს, ბ/ნ №01005001579) შოთა გავაშელს(ბ/ნ № 01019010234), შემდეგში "რწმუნებულს" წინამდებარე მინდობილობით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები:

1. შოთა გავაშელი უფლებამოსილია სს „თიბისი ბანკის" სახელით ხელი მოაწეროს საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, გირავნობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, უძრავი ნივთის განკარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, თავდებობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, ოვერდრაფტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, აკრედიტივის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, ხელშეკრულებებს მოთხოვნის დათმობის (ცესიის) შესახებ და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, განცხადებებს/წერილებს ცესიის შედეგად უზრუნველყოფის საშუალებების, მათ შორის იპოთეკისა და გირავნობის უფლებების მიღების, განაწილების, გადაცემის ან/და გაუქმების/შეწყვეტის შესახებ, შეთანხმებებს/ხელშეკრულებებს სინდიცირების შესახებ და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ,

შეთანხმებებს/ხელშეკრულებებს სხვა კომერციულ ბანკ(ებ)თან ან/და ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად კლიენტ(ებ)ის ერთობლივი დაფინანსების შესახებ და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, სხვა სახის შეთანხმებებს /ხელშეკრულებებს/წერილებს, რაც დაკავშირებული იქნება სინდიცირებასთან ან/და მოთხოვნის დათმობასთან ან/და სხვა კომერციულ ბანკ(ებ)თან ან/და ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად კლიენტის დაფინანსებასთან და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს რომელთა დადებაც აუცილებელი იქნება აღნიშნული დავალების შესასრულებლად, აგრეთვე სს "თიბისი ბანკის" სახელით ხელი მოაწეროს კლიენტისათვის გასაგზავნ და კლიენტთან დაკავშირებით მესამე პირებისათვის გასაგზავნ ნებისმიერი სახის წერილებს/შეტყობინებებს;

2. ამ მინდობილობით შოთა გავაშელს ენიჭება უფლებამოსილება ხელი მოაწეროს ნებისმიერ პირ(ებ)თან ნებისმიერ ხელშეკრულებას ან/და გარიგებას, რომელიც დაკავშირებული იქნება ნებისმიერი პირის სს „თიბისი ბანკის" წინაშე არსებული ან/და მომავალში წარმოშობილი ვალდებულების შესრულებასთან ან/და მისი შესრულების უზრუნველყოფასთან.

3. ამ მინდობილობით შოთა გავაშელს ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას სს „თიბისი ბანკის" ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში;

4. მინდობილობა ძალაშია 2024(ორი ათას ოცდაოთხი) წლის 31 (ოცდათერთმეტი) დეკემბრის ჩათვლით.

5. მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს მ. გვაზავას სანოტარო არქივში.

საზღაური: 30.00 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, რეგისტრაციის საფასური: 5.00 ლარი (39-ე მუხლის თანახმად) და დღგ 5.40 ლარი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად), სულ 40.40 ლარი.

გიორგი თხელიძე

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა

ნოტარიუსი მედეა გვაზავა NOTARY MEDEA GVAZAVA 01008018186 საქართველო - GEORGIA

